დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №58

2014 წლის 28 ნოემბერი

ქ. დედოფლისწყარო

,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.10.2014 წლის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის განსაზღვრის შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 27.10.2014 წლის №53 დადგენილებაში და დადგენილების დანართი 2-ით დამტკიცებული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (დანართი თან ერთვის)

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზვიად ჯავახიშვილი
თავმჯდომარე

დანართი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრი

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	მთავარი საჯარო თანამდებობის პირი-გამგებელი	2500
2	მთავარი საჯარო თანამდებობის პირი-გამგებლის პირველი მოადგილე (მოადგილე)	1300
3	წამყვანი საჯარო თანამდებობის პირი-გამგეობის სამსახურის უფროსი	1000
4	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგებლის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულებში (გარდა სოფ. მირზაანის, სოფ. საბათლოს და სოფ. ფიროსმანის)	980
5	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგებლის წარმომადგენელი სოფ. მირზაანის სოფ. საბათლოს და სოფ. ფიროსმანის ადმინისტრაციულ ერთეულებში	880

6	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
7	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი-მთავარი სპეციალისტი	560
8	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი- სპეციალისტი	540
9	დამხმარე მოსამსახურე - ტექნიკური მდივანი	540
10	დამხმარე მოსამსახურე-მძღოლი	520
11	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სპეციალისტი (ცვლის უფროსი)	480
12	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სპეციალისტი (მძღოლი, მეხანძრე, მაშველი)	470
13	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სპეციალისტი ავტომობილების ტექნიკური მომსახურების საკითხებში (უფროსი მძღოლი)	500
14	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი	500
15	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სპეციალისტი (მეელსმენე)	450
16	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი-გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის სპეციალისტი (საქმისმწარმოებელი)	300
17	გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დამლაგებელი	300